# 1 მაისი

პასექის IV კვირა [IV], თ

**პარასკევი**

**2026**

*წმ. იოსებ მშრომელი*

**საქმ 13,26-33; ფს 2; იო 14,1-6**
**ან, დაბ 1,26 -2,3 ან, კოლ 3,14-15.17.23-24; ფს 90; მთ 13,54-58**

უდის „ქვედა ეკლესიის" დღეობა

ქრისტეს მშვიდობა მეფობდეს თქვენს გულებში კოლ 3,15

ვრჩები იესოსთან ერთად და სიყვარულით აღვასრულებ მის ნებას, რომ მივიღო მისი მშვიდობა. ვიქნები მშვიდი, თავმდაბალი და მოყვარული ყველასადმი, რომ მივიღო სიხარულიც. წმიდა იოსები იქნება ჩემი მასწავლებელი შრომის დროს, ხოლო მარიამი თან მახლავს თავისი სიხარულით სავსე სიჩუმით!

# 2

# მაისი

**შაბათი**

**2026**

პასექის IV კვირა [IV]

წმ. ათანასე, ალექსანდრიის ეპისკოპოსი,
ეკლესიის მოძღვარი, +373, (მ) თ

**საქ 13,44-52; ფს 97; იო 14,7-14**

ვინც ჩემი სწამს, იმ საქმეებს, რასაც მე ვაკეთებ,
თვითონაც გააკეთებს იო 14,12

ვისაც სწამს შენი, იესო, ვინც თავის ცხოვრებას მოგანდობს და გიძღვნის შენ, ყოველ ჯერზე ხელახლა, შენთან სრულ ერთობაში არიან. როგორ შეგეძლო ჩვენი მეტად შეყვარება, უფალო იესო!? მწამს შენი და ვპოულობ სიხარულს იმაში, რომ შენთან ერთად აღვასრულო მამის საქმე: ჭეშმარიტი სიყვარული!

# 3 მაისი

კვირა

2026

ᲞᲐᲡᲔᲥᲘᲡ V ᲙᲕᲘᲠᲐᲓᲦᲔ, «ა» , [I], თ

[ᲬᲛ. ᲤᲘᲚᲘᲞᲔ და ᲘᲐᲙᲝᲑ მოციქულნი, Დ, [Ს], Წ]

**საქ 6,1-7; ფს 32; 1პეტრ 2,4-9; იოან 14,1-12**

*მივდივარ, რომ ადგილი მოგიმზადოთ* იოან 14,2

იესომ, სატანჯველის წინ გული გაუღო თავის მოწაფეებს და დაჰპირდა, რომ მამის სახლში ადგილს მოუმზადებდა მათ. სამოთხეშია ეს ადგილი? აგრეთვე. მაგრამ უკვე ახლა, თავისი სიკვდილითა და აღდგომით, იესომ მოგვიმზადა ძვირფასი ადგილი თავის სახლში, თავის ეკლესიაში: ცოცხალი ქვების ადგილი, რომლებიც თანამშრომლობენ და ემსახურებიან მისი სასუფევლის აგებას.

# 4 მაისი

პასექის V კვირა [I], თ

**ორშაბათი**

**2026**

საქმ 14,5-18; ფს 113; იო 14,21-26

*ვინც მიიღებს ჩემს მცნებებს, მას ვუყვარვარ* იო 14,21

გმადლობ, იესო, რომ გვიცავ ყოველგვარი ილუზიისგან. ნამდვილად მაშინ გვიყვარხარ, როცა ყოველდღე გულით გემორჩილებით ჩვენს ურთიერთობებსა და სხვადასხვა საქმეებში, და არა მხოლოდ მაშინ, როცა გან–საკუთრებულ ემოციებს ვგრძნობთ შენდამი... გმადლობ ასევე შენი ყოველი სიტყვისთვის, რომელიც ჩვენ გვაქცევს საჩუქრად ჩვენი ძმებისთვის.

# 5 მაისი

**სამშაბათი**
**2026**

პასექის V კვირა [I], თ

**საქ 14,19-28; ფს 144; იო 14,27-31**

*მოუწოდებდა მათ, დარჩენილიყვნენ*
*მტკიცედ რწმუნოებაში* საქ 14,22

დღეს მინდა გაგამხნევო, რომ მტკიცედ დარჩე შენს ურთიერთობაში იესოსთან, როგორც პავლემ მოუწოდა დერბეს, ლისტრიის, იკონიისაა და პისიდიის ანტიოქიის ქრისტიანებს. განსაცდელი გელის? მიენდე მას და დაანებე ძმებს დაგეხმარონ: ყოველი ღამის შემდეგ კვლავ იხილავ სინათლეს.

# 6 მაისი

**ოთხშაბათი**

**2026**

პასექის V კვირა [I], თ

**საქმ 15,1-6; ფს 121; იო 15,1-8**

*გამოიღოთ ბევრი ნაყოფი და გახდეთ ჩემი მოწაფენი* იო 15,8

მამა ღმერთის მთავარი სურვილი ესაა: რომ ჩვენ, ქრისტიანებმა, გამოვიღოთ ბევრი ნაყოფი, სულიწმიდის ნაყოფი: სიხარული, მშვიდობა, მოთმინება, კეთილმოსურნეობა, თავმდაბლობა და ერთგულება... დავრჩებით იესოსთან ერთიანობაში და ასე მივაგებთ პატივს ღმერთს, ჩვენს მამას.

# 7 მაისი

**ხუთშაბათი**

**2026**

პასექის V კვირა [I], თ

**საქმ 15,7-21; ფს 95; იო 15,9-11**

*უფალ იესოს მადლით ვართ ხსნილნი* საქმ 15,11

იესოს მოსვლამდე მოსეს რჯულის დაცვა მომზადება იყო მაცხოვრის მისაღებად. მისი მოსვლის შემდეგ ვმადლობთ მას, ვინც უსასყიდლოდ გვიხსნა ჯვარზე თავისი შესაწირავით, და დავყვებით მას. ყოველი დაყოლა, დაცვა, კეთილი საქმე მხოლოდ ჩვენი მადლობა იქნება მისდამი!

# 8 მაისი

პარასკევი

2026

პასექის V კვირა [I], თ

**საქმ 15,22-31; ფს 56; იო 15,12-17**

კამილიელი დედა მარია ნიკოლოზის გახსენება (+2005)

ამას გიბრძანებთ: გიყვარდეთ ერთმანეთი იო 15,17

„ამას გიბრძანებთ": დღეს ცოტა მკაცრად ჟღერს ეს სიტყვა, იესო. მაგრამ გმადლობ, რომ გამოიყენე იგი და არაერთხელ გაიმეორე. საჭიროა შენი მამის სრული ავტორიტეტი, რომელსაც ვუყვარვარ, რომ დავძლიო ჩემი თავკერძობა და შევიდე შენი სასუფევლის სიხარულში.

# 9 მაისი

შაბათი
2026

პასექის V კვირა [I], თ

საქმ 16,1-10; ფს 99; იო 15,18-21

ნაციზმზე გამარჯვების დღე

მე გამოგარჩიეთ სოფლისაგან იო 15,19

ჩვენ, ვინც ვცდილობთ გვიყვარდეს იესო მისი სწავლებების განხორციელებით, მან გამოგვარჩია. ის წინასწარ გვაფრთხილებს, რომ წინააღმდეგობას შევხვდებით იმათგან, ვინც არ იღებს მის სიტყვებს, რადგან არ იცნობენ ღვთის სიყვარულს. ვიქნებით მომთმენნი და შევიყვარებთ მათ, რათა ვიყოთ მისი ნამდვილი მოწმენი.

# 10 მაისი

კვირა

2026

პასექის VI კვირადღე, «ა», [II], თ

**საქმ 8,5-8.14-17; ფს 65; 1პეტრ 3,15-18; იო 14,15-21**

*არ დაგტოვებთ ობლებს: მოვალ თქვენთან* იო 14,18

იესოს გარეშე ნამდვილად ობლები ვართ, უდედმამო ბავშვები. მოწაფეებმაც ასე იგრძნეს თავი! მაგრამ მათი უფლის სატანჯველისა და სიკვდილის საშინელი ღამის შემდეგ, – სიყვარულის გზა, რომელმაც ჩვენ ყველა გვიხსნა! – ის დაუბრუნდა მათ: სამუდამოდ ხარობენ მის მამობითა და დედობით.

# 11 მაისი

**ორშაბათი**

**2026**

პასექის VI კვირა [II], თ

საქმ 16,11-15; ფს 149; იო 15,26 - 16,4

მ. იეჟი შიმეროვსკის გახსენება (+2016)

*მოდით და დარჩით ჩემს სახლში* საქმ 16,15

მას შემდეგ, რაც იესო ძლიერად შემოვიდა ჩემს გულში, ახალი ურთიერთობების გამოცდილება მაქვს, რომლებიც ეფუძნება არა ნათესაურ ან მეგობრულ კავშირებს, არამედ მასთან და მის ეკლესიასთან საერთო კუთვნილებას: გავიგე უანგაროდ სხვისი შეყვარებისა და სხვისგან შეყვარების სიხარული, ფილიპელი ლიდიას დარად.

# 12 მაისი

პასექის VI კვირა [II], თ

სამშაბათი
2026

*წმ. ნერეოს და აქილევსი,
წამებულნი +304-305 რომში.
წმ. პანკრაციუსი, წამებული, +304-305 რომში.*

საქმ 16,22-34; ფს 137; იო 16,5-11

წმ. ანდრია მოციქულის დღესასწაული
საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

თუ წავალ, მოგივლენთ ნუგეშინისმცემელს იო 16,7

იესო, შენ თავმდაბალი ხარ, ენდობი სულიწმიდას და მიდიხარ. შემიძლია მეც შენსავით მოვიქცე: ვიყუჩებ, დავიმალები იქ, სადაც მამას სურს, მშვიდად და დარწმუნებული, რომ ის გაგზავნის თავის სულს იმ ადამიანების გულებში, რომლებიც მადარდებს: მისი მოქმედება უფრო ეფექტურია ვიდრე მთელი ჩემი შეშფოთება.

# 13 მაისი

**ოთხშაბათი**

**2026**

პასექის VI კვირა [II], თ

*ფატიმის ნ. ქ. მარიამი, 1917*

საქმ 17,15.22 - 18,1; ფს 148; იო 16,12-15

სული ჭეშმარიტებისა, შეგიძღვებათ
სრულ ჭეშმარიტებაში იო 16,13

გვამცნობ ყველაფერს, რაც იესომ იცის,
სულო წმიდაო? დიახ, მამის შვილებად ჩა-
მოგვაყალიბებ, სიყვარულად, მის მსგავსად:
ყოველთვის და ყველგან, ყველასთან.
მოდი შენი ნათლით!

# 14 მაისი

## ხუთშაბათი 2026

**ზეცად ამაღლება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, «ა», დდ, [ს], თ**

ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს დამდეგ კვირადღეს.

[წმ. მატათა მოციქული, დ, [ს], წ]

*[(1.V) წმ. თამარ მეფე, +1213; წმ. მარია დომენიკა მაცარელო, +1881, სალეზიელ დედათა კონგრეგაციის დამაარსებელი]*

საქმ 1,1-11; ფს 46; ეფეს 1,17-23; მთ 28,16-20

ბუზმარეთის კათოლიკური ეკლესიის დღეობა.

სალეზიელ დედათა დღესასწაული

როცა დაინახეს, თაყვანი სცეს მთ 28,17

დიდი სიხარულის დღეა დღეს ჩვენთვის, იესოს მორწმუნეთათვის: ვუმზერთ მის ამაღლებას მამასთან, მას შემდეგ, რაც აღასრულა თავისი მისია და აღდგომიდან ორმოცი დღის მანძილზე მოდიოდა მოწაფეებთან ცოცხალი. თაყვანი ვცეთ მას მამის მარჯვნივ, ის ხომ სწორედ ამიტომ, კიდევ უფრო ახლოა ჩვენთან.

# 15 მაისი

**პარასკევი**

**2026**

პასექის VI კვირა [II], თ

**საქმ 18,9-18; ფს 46; იო 16,20-23**

სულთმოფენობის ნოვენის დასაწყისი

*თქვენ იტირებთ, ხოლო სოფელი გაიხარებს* იო 16,20

როცა მძლავრობს ბოროტება, ძალადობა და უსამართლობა, ტირილი გვინდება: ასე იყ–ვნენ მოციქულებიც იესოს სიკვდილზე, მაშინ როდესაც მათი მტრები ხელებს იფშვნეტ–დნენ. ველოდებით იმედით და ვმოქმედებთ სიყვარულის გამარჯვებისთვის. იესო აღდგა!

# 16 მაისი

პასექის VI კვირა [II], თ

**შაბათი**

**2026**

*(3.V) წმ. მამაი კათალიკოსი, VIIIს;*
*ღირ. მამანი მიქაელ და არსენ ულუმბოელნი, IXს, მონაზონნი*

**საქმ 18,23-28; ფს 46; იო 16,23-28**

ვტოვებ ისევ სოფელს და მივდივარ მამასთან იო 16,28

იესო, შენ მიდიხარ, მაგრამ არ გვტოვებ,
მამასთან მიდიხარ და მიგყავართ გულით.
გმადლობთ შენი მსხვერპლისთვის და გმა-
დლობთ, რომ მამისგან, რომელიც უკვე
გვიყვარს, მოგვივლენ იმავე სულს, რომელიც
ბუდობს მის და შენს გულში.
მოდი, სულო წმიდაო!

# 17 მაისი

კვირა

2026

პასექის VII კვირადღე, «ა» , [III], თ
(ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს ამაღლება)

**საქმ 1,12-14; ფს 26; 1 პეტ 4,13-16; იო 17,1-11ა**

"მამაო, მოვიდა ჟამი!" იო 17,1

"შუამავალი ღმერთსა და ადამიანებს შორის, სამყაროს მსაჯული და მთელი სამყაროს უფალი არ განშორებია ჩვენს ადამიანურ ბუნებას, არამედ წინ გაგვიძღვა საუკუნო სამყოფელში, რათა მოგვანიჭოს მშვიდი რწმენა: სადაც არის იგი, როგორც თავი და პირმშო, იქ ვიქნებით ჩვენც, მისი სხეული, შეერთებულნი ერთსა და იმავე დიდებაში".

# 18 მაისი

## ორშაბათი 2026

პასექის ჟამის VII კვირა [III], თ

*წმ. იოანე I, პაპი და წამებული, +526 რავენაში*

**საქმ 19,1-8; ფს 67; ინ 16,29-33**

*მე არ ვარ მარტო, რადგან მამა ჩემთან არის* იო 16,32

ამ დარწმუნებით იესო შეხვდა სატანჯველს,
შევიდა სიკვდილში და დაამარცხა ის.
იმავე დარწმუნებით, იესო, მინდა გამოვიარო
დღევანდელი ჩემი განსაცდელები. გამბედა-
ობასა და მშვიდობას ვპოვებ შენში, რომელ-
მაც დაამარცხე სოფელი.

# 19 მაისი

**შაბათი**
**2026**

პასექის ჟამის VII კვირა [III], თ

საქმ 20,17-27; ფს 67; ით 17,1-11

*მე მათთვის ვლოცულობ* ით 17,9

იესოს ძლიერ ადარდებს თავისი მოწაფენი და ევედრება მამას მათთვის, რომ იყვნენ მასთან და ერთმანეთთან სიყვარულით შეერთებულნი და დაცულნი ბოროტისგან. ის მათთვის უძღვნის თავის სიცოცხლეს. გმადლობთ, იესო, რომ ჩვენც გვძლევ ძმე–ბისთვის შენს ლოცვაში გაერთიანების საშუ–ალებას.

# 20 მაისი

პასექის ჟამის VII კვირა [III], თ

**ოთხშაბათი**

**2026**

(7.V) წმ. ღირსი იოანე ზედაზნელი და
მისი 12 მოწაფე, VIს, (მ);
*წმ. ბერნარდინე სიენელი, ხუცესი,
ფრანცისკელი, +1444 აკვილაში (იტალია)*

**საქმ 20,28-38; ფს 67; იო 17,11-19**

მამაო წმიდაო, დაიცვ ისინი შენს სახელში იო 17,11

იესომ, უკანასკნელ სერობაზე, ასე ილოცა თავისი მოწაფეებისთვის: მადლობა მას. მან ჩემთვისაც ილოცა, რომ მრწამს, რომ ყოველთვის ვიყო მასთან ერთიანობაში და ხორცი შევასხა მისივე სიყვარულს, მზად ვიყო პირველმა შევიყვარო ყველა. ვუერთდები მის ლოცვას შენთვის!

# 21 მაისი

**ხუთშაბათი**
**2026**

პასექის ჟამის VII კვირა [III], თ

*წმ. ქრისტოფორე მაგალანესი, ხუცესი და მისი მეგობრები, მექსიკაში წამებულნი, +1926-1928*

**საქმ 22,30; 23,6-11; ფს 15; იო 17,20-26**

*იყვნენ ისინიცა ჩვენში* იო 17,21

შენი ლოცვა ძვირფასია, იესო: ძვირფასი, რადგან მისგან ვგებულობთ შენს ყველაზე ღრმა სურვილებს, რომლებსაც გავითავისებთ, და ძვირფასი, რადგან აუცილებლად შესმენილ იქნება შენი და ჩვენი მამის მიერ!

# 22 მაისი

**პარასკევი**

**2026**

**პასექის ჟამის VII კვირა [III], თ**

(9.V) წმ. შიო მღვიმელი, VIს, (მ), თ
*წმ. რიტა კასიადან, ავგუსტინელი მონაზონი, +1457*

**საქმ 25,13-21; ფს 102; იო 21,15-19**

მწყემსე ჩემი ცხვრები იო 21,17

ასე ეუბნება აღმდგარი იესო პეტრეს, მას შემდეგ რაც ჰკითხა, უყვარს თუ არა. მეც და შენც, როცა გვიყვარს იესო და ამას ვამბობთ, ის გვენდობა და გვაბარებს რაიმე სასარგებლო მსახურებას სამრევლო საკრებულოსა თუ საზოგადოებისათვის.

# 23

# მაისი

**შაბათი**

**2026**

პასექის ჟამის VII კვირა [III], თ

**საქმ 28,16-20.30-31; ფს 10; იო 21,20-25**

*შენ მე მომყევი* იო 21,22

ეს არის სიტყვა, რომელიც აღმდგარმა იესომ უთხრა პეტრეს, როცა მან, უკან მოხედვით, ჰკითხა, თუ რა მოუვიდოდა მეორე მოწაფეს. "შენ მომყევი!" თითქოს უნდოდა ეთქვა: თუ ის მეორე მოწაფე გიყვარს, მომყევი მტკიცედ, სხვა ფიქრების გარეშე, და ასე დაეხმარები მასაც, რომ გამომყვეს.

# 24 მაისი

კვირა

2026

სულთმოფენობა, «ა», დდ, [ს], წ

საქმ 2,1-11; ფს 103; 1კორ 12,3-7.12-13; იო 20,19-23

ბათუმის ახალი კათოლიკური ეკლესიის დღეობა
მ. ივანე გვარამაძის გახსენება (+1912)

მიიღეთ სულიწმიდა იო 20,22

შენი პირიდან მოდის ღვთაებრივი სული, რომელიც გარდასახავს მოციქულთა გულს. დღეიდან ისინი გაავრცელებენ სოფელში ახალი სიცოცხლის სიხარულსა და მშვიდობას, სიცოცხლეს, რომელშიც შენა ხარ მამასთან! ეს არის სიცოცხლე, რომელსაც არ ეშინია სიკვდილის და, ამიტომ, არის თავისუფალი, გახსნილი და მზად წმიდა სიყვარულისათვის.

# 25 მაისი

**ორშაბათი**

**2026**

წმ. მარიამ დედა ეკლესიისა, (მ), [ს], თ

*წმ. ბედა ღირსი, ხუცესი, ბენედიქტელი, ეკლესიის მძღვარი, +735; / წმ. გრიგოლ VII, პაპი, +1085 სალერნოში (იტალია); / წმ. მარია მაგდალენა დე პაცი, ქალწული და კარმელიტელი +1607 ფლორენციაში*

**საქმ 1,12-14 ან დაბ 3,9-15.20; ფს 86; იო 19,25-27**

აჰა, დედა შენი იო 19,27

ჯვარზე მილურსმული, იესო უყურებს დედას და მას ანდობს მოწაფეს, რომელიც მის გვერდითაა. ეს მოწაფე წარმოადგენს მთელ ეკლესიას, რომელიც ამ მომენტიდან დედის კალთის ქვეშაა.

# 26 მაისი

რიგითი VIII კვირა [IV]

სამშაბათი
2026

წმ. ფილიპე ნერი, ხუცესი, ორატორიუმის დამაარსებელი, +1595 რომში, (მ), თ
*(13.V) წმ. ღირ. ექვთიმე მთაწმიდელი, +1028წ.*

**1პეტ 1,10-16; ფს 97; მარ 10,28-31**

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

ასმაგ მეტი..., დევნასთან ერთად მარ 10,30

მეც ვცდილობ რამდენიმე მცირე ნაბიჯის გადადგმას იესოს კვალში, ვტოვებ რაღაც ისეთს, რაც ძვირფასია ჩემთვის. ყოველთვის გაცილებით მეტს ვიღებ, წვრილმან "დევ- ნასთან" ერთად: ესეც ძვირფასია, რადგან ნიშანია, რომ ნამდვილად მივყვები იესოს, რომელიც ყოველთვის ატარებს ჯვარს.

# 27 მაისი

**ოთხშაბათი**

**2026**

რიგითი VIII კვირა [IV], მწ

*წმ. ავგუსტინე, კენტერბერის ეპისკოპოსი, +604 ან 605*

1პეტ 1,18-25; ფს 147; მარ 10,32-45

უფლის სიტყვა რჩება საუკუნოდ 1პეტ 1,25

აქ ყველაფერი წარმავალია, ისიც, რაც სიხარულს გვანიჭებს და ისიც, რაც გვტანჯავს: ყოველი დღე, კეთილი თუ ბოროტი, დასრულდება; ყოველი დღესასწაული და ყოველი მწუხარება ჩაივლის, ყოველი ასაკი დაჭკნება, ყოველი ახლობელი ადრე თუ გვიან დაგვტოვებს..., მაგრამ რასაც განვიცდით და განვახორციელებთ იესოსთან, მამის ცოცხალ სიტყვასთან ერთად, შევა მის მარადისობაში.

# 28 მაისი

**ხუთშაბათი**

**2026**

რიგითი VIII კვირა [IV], მწ

*(15.V) წმ. ღირსი პიროს ბრეთელი, მონაზონი, VIს*

**1პეტ 2,2-5. 9-12; ფს 99; მარ 10,46-52**

მაშინვე დაინახა ისევ და მიჰყვა მას მარ 10,52

იესო, შენ ჩემთვის კიდევ უფრო დიდი სასწაული მოახდინე: ვერ გხედავდი და «დამენახე». და შენი სიყვარულის წყალობით, დავიწყე სიარული და ცხოვრება მეც შენთან ერთად. გმადლობ, იესო!

# 29 მაისი

## პარასკევი 2026

რიგითი VIII კვირა [IV], მწ

*პავლე VI, პაპი, +1978 რომში.*

**1პეტ 4,7-13; ფს 95; მარ 11,11-26**

*როცა ლოცულობთ... აპატიეთ* მარ 11,25

იესო გვეუბნება: «ყველაფერს, რასაც ითხოვთ ლოცვაში, გწამდეთ, რომ მიიღეთ, და მოგეცემათ». შემდეგ მოგვიწოდებს, რომ ლოცვის დაწყებამდე მივუტევოთ ვინც შეურაცხგვყო, თორემ, როგორ ვიქნებით შესმენილნი? გმადლობთ, იესო, წმიდანთა მაგალითისთვის, რომლებმაც აიტანეს და აპატიეს მრავალი გაუგებრობა და წინააღმდეგობა: შენ ნაყოფიერი გახადე მათი სიყვარული შენდამი.

# 30

# მაისი

**შაბათი**

**2026**

პასექის ჟამის VI კვირა [II], თ

იუდ 1,17.20ბ-25; ფს 62; მარ 11,27-33

დაეჭვებულნი შეიწყალეთ იუდ 1,22

გულმოწყალება არ ნიშნავს ყველაფრის გატარებას და იმის თქმას, რომ ყველაფერი კარგია. ნიშნავს სიყვარულში დარჩენას, სიყვარულში, რომელიც მამას აქვს იმ ადამიანისადმი, რომელსაც არა აქვს სიცხადე, რომელიც დაბნეულია და გაფანტული, რომელსაც ვერ გადაუწყვეტია ღვთისათვის გულის გახსნა. ამ სიყვარულში არის დიდი მოთმინება და მედგარი ლოცვა.

# 31 მაისი

კვირა

2026

ყოვლადწმიდა სამება, «ა», დდ, [ც], თ

[ნ. ქ. მარიამის მონახულება, დ, [ც], თ]
*[(18.V) წმ. მოწამენი დავით და ტირიჭანი, +693]*

**გამოს 34,4b-6.8-9; ფს, დან 3,52-56; 2კორ 13,11-13; იო 3,16-18**

რათა ყოველსა რწმენა მისი, ჰქონდეს საუკუნო სიცოცხლე იო 3,16

დღეს ვზეიმობთ ჩვენი ღვთის "იდენტობას", იმას, რაც იესომ გამოგვიცხადა. სიტყვები არ კმარა მასზე სასაუბროდ, მაგრამ ის, რაც შეგვიძლია გამოვიყენოთ, ძალიან ლამაზი და მარტივია: ღმერთი არის მამა, სიყვარული, რომელიც საკუთარი თავის მიძღვნაა; არის ძე, სიყვარული, რომელიც პასუხობს მიღებით; არის სულიწმიდა, სიყვარული, რომელიც ბადებს სიცოცხლესა და თანაზიარებას. და ეს მისი სიცოცხლე გვეძლევა ჩვენც იესოს მეშვეობით. ვისაც იგი სწამს, ნამდვილად ექნება საუკუნო სიცოცხლე, ღვთაებრივი სიცოცხლე!